საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია

„დამტკიცებულია“

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის

პრეზიდიუმის მიერ

_____

01/08/2022 წელი

საქართველოს ჩემპიონატის გათამაშებებში ხელბურთელთა დაშვებისა და ერთი კლუბიდან/გუნდიდან სხვა კლუბში/გუნდში გადასვლის დებულება

თბილისი 2022

ტერმინთა განმარტებები

- **საქართველოს ხელბურთის ფედერაცია** - შემდგომში - „ფედერაცია";
- **"საშეჯიბრო კომისია"** - საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის კომისია, რომელიც ხელმძღვანელობს და პასუხისმგებელია საქართველოს ჩემპიონატის და თასის გათამაშების ჩატარებაზე.
- **"კლუბი"** – იურიდიული პირი რომლის შემადგენლობაშიც შედიან - ხელბურთში საქართველოს ჩემპიონატში ან/და თასის გათამასებაში მონაწილე გუნდები.
- **კონტრაქტიანი მოთამაშე** - ხელბურთელი, რომელსაც გაფორმებული აქვს შრომითი ან პროფესიული ხელშეკრულება კლუბთან
- **უკონტრაქტო მოთამაშე** - ხელბურთელი, რომელიც თამაშობს კლუბის შემადგენლობაში, მაგრამ არ იღებს ანაზღაურებას (არ აქვს კონტრაქტი)
- **"პირველი კონტრაქტი"** – სპორტსმენის 14 წლის შესრულების შემდგომ, მშობლების თანხმობით დამოწმებული, ან 18 წლის ასაკში პირადად ხელმოწერილი კონტრაქტი დადებული კლუბთან და დამოწმებული საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ აღნიშვნით პირველი კონტრაქტი.
- **"ხელბურთელის პასპორტი"** – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოთამაშის კუთვნილებას კლუბისამდი და, რომელიც წარმოადგენს სპორტსმენის დოკუმენტს, რომლებსაც აწარმოებენ სპორტსკოლები და კლუბები მოთამაშის 12 წლის შესრულების შემდგომ და ყოველი სათამაშო სეზონის დამთავრების შემდგომ ატარებენ რეგისტრაციაში საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის საშეჯიბრო კომისიაში.
- **"გადასვლის სერთიფიკატი"** – საქართველოს ჩემპიონატის გათამაშებაში მონაწილე კლუბის შემადგენლობაში მოთამაშის დაშვების დოკუმენტი, რომელსაც ამზადებს სხეფ-ის საშეჯიბრო კომისია და ადასტურებს გენერალური მდივანი.
- **განათლების კომპენსაცია** - განათლების კომპენსაცია- ხელბურთელის სწავლებასა და მომზადებაში მონაწილე სუბიექტების კლუბების, გუნდების, სპორტული სკოლების და სხვა საქმიანობის დაფასების, გაუმჯობესებისა და შემდგომიმ მოტივაციის ზრდაზე მიმართული სუბსიდია, რომელიც გადახდას ექვემდებარება ახალგაზრდა მოთამაშის მიერ 23 წლის ასაკის მიღწევამდე და მოიცავს 12 წლიდან 21 წლამდე სწავლების და წვრთნის პერიოდს.

1. ძირითადი დებულებები

1.1. ნამდვილი დებულების მიზანია საქართველოს ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებაში ხელბურთელთა დაშვებისა და ერთი კლუბიდან (გუნდიდან) სხვა კლუბში (გუნდში) გადასვლის პროცედურული საკითხების მოწესრიგება.

1.2. დაშვებისა და გადასვლის ყველა საკამათო საკითხს იხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმი.

1.3. დებულების მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს ფედერაციის პრეზიდიუმი.

2. მოთამაშის დაშვება საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშებაში

2.1. ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრულ ვადებში, ჩემპიონატისა და თასის გათამაშების დებულების მოთხოვნათა შესაბამისად მონაწილე კლუბების/გუნდების დაშვების საკითხს იხილავს ფედერაციის საშეჯიბრო კომისია. მონაწილე კლუბების გუნდის ჩემპიონატზე ან თასზე დაშვების შემდგომ, ფედერაციის საშეჯიბრო კომისია გუნდის ყველა მოთამაშეზე გასცემს მოთამაშის ბარათს, რომლებიც ხელბურთელებმა თან უნდა იქონიონ ჩემპიონატის თამაშების მიმდინარეობისას.

2.2. მოთამაშის ბარათს გასცემს სხეფ-ს საშეჯიბრო კომისია გუნდების მიერ წარმოდეგნილი განაცხადის და მოთამაშეთა კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე.

2.3. მოთამაშის ჩემპიონატზე და თასის გათამაშებაზე დაშვების და მასზე მოთამაშის ბარათის გაცემის საფუძველია :

ა) შესაბამისი გუნდის ოფიციალური განაცხადი

ბ) ხელბურთელის მიერ კლუბთან გაფორმებული კონტრაქტი, მინიმუმ მიმდინარე სეზონის ბოლომდე

გ) იჯარის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია მოთამაშის უფლებების - კონტრაქტის მქონე კლუბსა და ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველ კლუბს შორის

დ) მოთამაშის განცხადება/თანხმობა კლუბში თამაშის ან გადასვლის თაობაზე

2.4. მოთამაშის კონტრაქტი აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრირებული სხეფ-ში. დარეგისტრირებული კონტრაქტის ასლი ინახება სხეფ-ში და წარმოადგენს მოთამაშესა და კლუბს შორის ურთიერთობის განმსაზღვრელ ძირითად საბუთს. სხეფ-ში დარეგისტრირებული კონტრაქტის არ არსებობის შემთხვევაში, სპორტსმენი ითვლება უკონტრაქტო მოთამაშედ და მას უფლება ეძლევა გააფორმოს კონტრაქტი ნებისმიერ სხვა კლუბთან.

2.5. სპორტსმენთან, რომლის ასაკი არ აღემატება 18 წელს "პირველი კონტრაქტის" გაფორმების მაქსიმალური ვადაა 3 წელი. 18 წელზე უფროსი ასაკის სპორტსმენებთან და ყველა შემდგომი კონტრაქტის მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

2.6. თუ სპორტსმენი (უკონტრაქტო მოთამაშე) აფორმებს კონტრაქტებს რამდენიმე კლუბთან რომლის ვადებიც სრულად ან ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს მას (სპორტსმენი) ეძლევა დისკვალიფიკაცია 6 თვის ვადით და/ან ჯარიმდება 500 ლარით. დისკვალიფიკაციის ვადის ათვლა იწყება სხეფ-ის საბანკო ანგარიშზე ჯარიმის თანხის ჩარიცხვის დღიდან.

2.7. სხეფ-ში დამტკიცებული მასალების (მოთამაშის მიერ რამდენიმე კლუბთან გაფორმებული კონტრაქტები, რომლის მოქმედების ვადები სრულად ან ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს) შემოსვლის თარიღიდან სპორტსმენი იხსნება ყველა შეჯიბრებებიდან რომლებსაც ატარებენ სხეფ, ეხფ და სხეფ. დისკვალიფიკაციის ვადის გასვლის შემდგომ სპორტსმენზე უფლება აქვს იმ კლუბს რომელთანაც სპორტსმენის მიერ პირველად იყო ხელმოწერილი კონტრაქტი (გაფორმების თარიღი). სპორტსმენი დაშვებული იქნება შეჯიბრებებზე მხოლოდ მას შემდგომ, რაც დარეგულირებული იქნება ურთიერთობები დავაში მონაწილე ყველა კლუბთან და მათ მიერ დადასტურებული იქნება პრეტენზიების უქონლობა სპორტსმენის მიმართ.

2.8. ერთი კლუბიდან სხვა კლუბში გადასვლის სატრანსფერო პერიოდად განისაზღვრება შემდეგი ვადები: **1 ივლისი - 10 ოქტომბერი და 1 იანვარი - 1 მარტი.**

2.9. კლუბებს სეზონის განმავლობაში უფლება აქვთ საშეჯიბრო კომისიაში შემოიტანონ დამატებითი განაცხადები მხოლოდ სატრანსფერო პერიოდებში.

2.10. მუხლი 2.9 არ ვრცელდება მოთამაშეზე, რომელიც:

- არ ეკუთვნის არც ერთ კლუბს და არ უთამაშია მიმდინარე სეზონში
- იჯარით იყო უცხოეთის კლუბში და თამაშის მომენტისათვის აქვს მიიღებული საერთაშორისო სატრანსფერო ნებართვა -სერტიფიკატი.
- გადმოვიდა გუნდიდან, რომელმაც შეწყვიტა მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატში.

2.11. სხვა დანარჩენ შემთხვევებში მოთამაშეების დამატებითი განაცხადები არ მიიღება.

2.12. მოთამაშეების დამატებით დაშვების შემთხვევაში უნდა სრულდებოდეს იგივე მოთხოვნები, რომლებიც ხორციელდება მოთამაშეების სატრანსფერო პერიოდში დაშვების დროს.

2.13. მოთამაშეების დამატებით დაშვების ყველა განაცხადები ჩაბარებული უნდა იქნას საშეჯიბრო კომისიაში, მინიმუმ 72 საათით ადრე თამაშის დაწყებამდე, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს სპორტსმენმა.

2.14. საშეჯიბრო კომისია მოთამაშის დამატებით დაშვების საკითხის განხილვას იწყებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სხეფ-ის ანგარიშზე ჩარიცხულია საქართველოს ჩემპიონატის დებულებით გათვალისწინებული მოთამაშეების დაშვების თანხა.

2.15. არასატრანსფერო პერიოდში დამატებითი განაცხადის შეტანის შემთხვევაში კლუბი (გუნდი) ვალდებულია სხეფ-ის ანგარიშზე ჩარიცხოს 100 ლარი თითოეულ დამატებულ ხელბურთელზე.

3. მოთამაშეების გადასვლა ერთი კლუბიდან სხვა კლუბში.

3.1 სპორტსმენის გადასვლა ერთი კლუბიდან სხვა კლუბში ჩაითვლება განხორციელებულად, მხოლოდ სხეფ-ის მიერ ტრანსფერის სერტიფიკატის გაცემის შემდგომ.

3.2 ტრანსფერის სერტიფიკატის გაცემისათვის ხორციელდება შემდეგი პროცედურა:

3.2.1. კლუბი რომელშიც გადადის სპორტსმენი აგზავნის სხეფ-ის საშეჯიბრო კომისიაში თხოვნის სპეციალურ ფორმას სპორტსმენის სხვა კლუბიდან გადასვლის და ტრანსფერის სერტიფიკატს გაცემის შესახებ. აღნიშნულ ფორმას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მოთამაშის განცხადება ფედერციის სახელზე გადასვლის ნებართვის შესახებ.

ბ) შევსებული ტრანსფერის ფორმა.

გ) მოთამაშესა და კლუბს შორის ხელმოწერილი კონტრაქტის ასლი (დამოწმებული ნოტარიუსთან).

დ) ტრანსფერის სერტიფიკატის ღირებულების (კონტრაქტიან მოთამაშეზე 200 ლარი /უკონტრაქტო მოთამაშეზე 50 ლარი) თანხის სხეფ-ის ანგარიშზე ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი.

3.2.2. სხეფ-ში განცხადების შეტანის ვადად ითვლება დოკუმენტების სრულყოფილი პაკეტის საშეჯიბრო კომისიაში ჩაბარება.

3.2.3. სხეფ **ორი დღის** ვადაში ატყობინებს კლუბს (ელექტრონული ფოსტით) რომლიდანაც გადადის ხელბურთელი გადასვლის შესახებ და უსვამს შეკითხვას გადასვლის განხორციელებაზე თანხმობის/უარის საგანზე.

3.2.4. კლუბმა, რომლიდანაც გადადის ხელბურთელი **სამი დღის** ვადაში უნდა გამოაგზავნოს გადასვლაზე თანხმობა ან მოტივირებული უარი დამამტკიცებელ დოკუმენტებთან ერთად. აღნიშნულ ვადაში პასუხის არ არსებობა ითვლება კლუბის თანხმობად მოთამაშის გადასვლაზე.

3.2.5. სხეფ **ორი დღის** ვადაში უგზავნის კლუბს, რომელშიც გადადის ხელბურთელი ტრანსფერის სერტიფიკატს ან ატყობინებს გადასვლაზე უარის შესახებ, იძახებს კლუბების წარმომადგენლებს ფედერაციაში სადავო საკითხების გადაწყვეტის მიზნით. თუ სხეფ-ში განცხადების მიღებიდან თხუთმეტი დღის განმავლობაში კლუბი, რომელშიც გადადის მოთამაშე არ მიიღებს ოფიციალურ პასუხს სხეფ- დან, გადასვლა ითვლება დამტკიცებულად და სხეფ ვალდებულია გასცეს კლუბს მოთამაშის ტრანსფერის სერტიფიკატი.

3.3 ტრანსფერის სერტიფიკატს გასცემს სხეფ-ს საშეჯიბრო კომისია, გენერალური მდივნის დასტურით.

3.4 აღნიშნულ საკითხზე სადავო საკითხებს განიხილავს სხეფ-ს პრეზიდიუმი, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

3.5 სხეფ-ში მოთამაშეთა გადასვლასთან დაკავშირებულ სადაო საკითხების განხილვისას მოწვეულები უნდა იყვნენ დაინტერესებული მხარეები.

5. უცხოეთის კლუბებში

5.1. საერთაშორისო ხელბურთის ფედერაციის რეგლამენტის შესაბამისად საქართველოს ჩემპიონატებში მონაწილე ხელბურთელებისათვის საერთაშორისო სატრანსფერო სერტიფიკატის გაცემის უფლება ეკუთვნის საქართველოს ხელბურთის ეროვნულ ფედერაციას.

5.2. სხეფ-ში საერთაშორისო სატრანსფერო საქმიანობას ახორციელებს სხეფ-ს გენერალური მდივანი.

5.3. საქართველოს ხელბურთის ეროვნულ ფედერაციის მიერ სპორტსმენებზე საერთაშორისო სატრანსფერო სერტიფიკატი გაიცემა: საქართველოს კლუბის თანხმობისა და იმ ქვეყნის ფედერაციის (რომლის კლუბშიც გადადის მოთამაშე) მხრიდან მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში.

5.4. საქართველოს ხელბურთის ეროვნულ ფედერაციას შეუძლია უარი უთხრას სპორტსმენს საერთაშორისო სატრანსფერო სერტიფიკატის გაცემაზე შემდეგ შემთხვევებში:

- საქართველოსა და უცხოეთის კლუბებს შორის მოთამაშის გადასვლასთან დაკავშირებით არ არსებობს მოლაპარაკება.
- საქართველოს კლუბთან მოქმედი კონტრაქტის ვადა არ არის ამოწურული.
- მოთამაშის მიერ არ არის შესრულებული კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები საქართველოს კლუბის მიმართ.
- არ არის გასული მოთამაშის მიმართ მიღებული დისკვალიფიკაციის ვადა.

5.6. ეროვნული ნაკრები გუნდის წევრის უცხოეთის კლუბში გადასვლისას კონტრაქტის გაფორმების დროს ასახული უნდა იყოს ნაკრები გუნდის ინტერესები – კერძოდ, სპორტსმენის საწვრთნელ შეკრებებზე და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის ვადები. საქართველოს კლუბი, რომლის სახელითაც ეროვნული ნაკრები გუნდის მოთამაშე აფორმებს კონტრაქტს სხვა ქვეყნის კლუბთან ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს სხეფ-ს

5.7. საზღვარგარეთის კლუბში გადასული სპორტსმენები კარგავენ უფლებას მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ჩემპიონატში.

5.8. სპორტსმენებს, რომლებმაც დაამთავრეს გამოსვლები უცხოეთის კლუბებში, საქართველოს კლუბებში გამოსვლის უფლება ეძლევათ საერთაშორისო სატრანსფერო სერტიფიკატის მიღების შემდეგ.